

დანართი N1: ალტერნატიული ვარიანტების შეფასება

დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში განხილული იქნა შემდეგი ალტერნატიული ვარიანტები:

- არაქმედების ალტერნატიული ვარიანტი;
- საწარმოს განთავსების ადგილი ალტერნატიული ვარიანტები;
- ტექნოლოგიური ალტერნატიული ვარიანტები.

1. არაქმედების ალტერნატივა

როგორც აღინიშნა, ნიკორას სავაჭრო ობიექტებში და საწარმოებში წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა ამ ეტაპისათვის შეადგენს დაახლოებით 600 ტონას წელიწადში და პესპექტივაში ქსლის გაფართოების გათვალისწინებით მოხალოდნელია ამ რაოდენობის გაზრდა. აღსანიშნავია, რომ კომპანიის ქსელში წარმოქმნილი ნარჩენების დაახლოებით 90% კვების პროდუქტების ნარჩენებია, რომლებიც განიხილება ბიოდეგრადირებად ნარჩენებად. როგორც ცნობილია, ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია ითვალისწინებს მუნიციპალურ ნაგავსაყრელებზე ბიოდეგრადირებადი ნარჩენების განთავსების შემცირებას, რაც ართულებს კომპანიასა და ნაგავსაყრელების მფლობელებს შორის აღნიშნული ნარჩენების განთავსებაზე შეთანხმების მიღწევას და დღეისათვის კომპანია, ქსელში წარმოქმნილი ნარჩენების მართვას ახორციელებს სხვა კონტრაქტორების საშუალებით, რომლებსაც გააჩნიათ ბიოდეგრადირებადი სხვა ნარჩენების ინსინერაციაზე შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

იქიდან გამომდინარე, რომ „ნიკორას“ ობიექტებზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვა ხორციელდება სხვა მეწარმე სუბიექტების მიერ, ხშირ შემთხვევაში კომპანიას უწევს ნარჩენების გარკვეული ვადით შენახვა, რაც მალეუქმადი პროდუქტების შემთხვევაში გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული, კერძოდ: ყველა ობიექტზე საჭიროა დამატებითი სასაწყობო სათავსების გამოყოფა და მათი მაცივარ-დანადგარებით უზრუნველყოფა და სხვა. ამასთანავე, სხვა მეწარმე სუბიექტების მომსახურების შესყიდვა, კომპანიისათვის ეკონომიკური თვალსაზრისითაც არ არის გამართლებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, თავად უზრუნველყოს მის ქსელში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა. კომპანია ნიკორა მის კუთვნილებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უზრუნველყოფს ნარჩენების საწვავი ღუმელისა მოწყობას და ექსპლუატაციას. ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის გამოყოფს შესაბამის სატრანსპორტო საშუალებებს და პერსონალს. შესაბამისად ნარჩენების სავაჭრო ქსელიდან და საწარმოო ობიექტებიდან მოხდება ყოველდღიურად ადგილზე და საჭირო არ იქნება მალეუქმადი პროდუქტების ნარჩენების წარმოქმნის ადგილზე დაგროვება და გამოირიცხება ამასთან დაკავშირებული გარემოზე და ადამიანის ჯანსრთელობაზე ზემოქმედების რისკები.

ნარჩენების საწვავი ღუმელის ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე ზემოქმედების რისკებიდან მნიშვნელოვანია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება. მაგრამ დღეისათვის საერთაშორისო ბაზარზე არსებული საწვავი ღუმელები გამოირჩევიან მაღალი ეფექტურობით და სწორი ექსპლუატაციის პირობებში, ზემოქმედების რისკები არ არის მაღალი. აღნიშნული დადასტურებულია წინამდებარე ანგარიშში მოცემული გაანგარიშების და პროგრამული მოდელირების შედეგების მიხედვით, კერძოდ: საწარმოს 500 მ-იანი ნორმირებული ზონის საზღვარზე და ასევე უახლოესი საცხოვრებელი ზონის საზღვარზე მანე ნოვითიერებათა მიწისპირა კონცენტრაციები არ გადაჭარბებს ნორმირებულ მაჩვენებლებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მისაღები ალტერნატიული ვარიანტია და არაქმედების ალტერნატიული ვარიანტი მიუღებლად ინდა ჩაითვალოს.

2. საწარმოს განთავსების ალტერნატიული ვარიანტები და მათი ანალიზი

საწარმოს განთავსებლად, ტერიტორიის შერჩევის ეტაპზე, კომპანიისთვის მნიშვნელოვანი იყო საწარმოს იმ ტერიტორიებთან ახლოს განთავსება, სადაც უფრო მეტია „ნიკორას“ ობიექტების რაოდენობა და შესაბამისად, სადაც უფრო მეტია წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა. ამ პრინციპის გათვალისწინებით საწარმოს განთავსებისთვის საუკეთესო ალტერნატივა იყო საწარმოს ქ. თბილისში ან ქ. თბილისთან ახლოს განთავსება.

ქ. თბილისში; ინსინერაციის საწარმოს განთავსებისთვის, ვერ იქნა შერჩეული კომპანია „ნიკორას“ საკუთრებაში არსებული ისეთი ტერიტორია, რომელიც 500 მ-ზე მეტი მანძილით იქნებოდა დაშორებული საცხოვრებელი ზონებიდან. ამიტომ, საწარმოს განთავსებლად განხილული იქნა ქ. თბილისის სიახლოვეს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. გამარჯვებაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებიც სს „ნიკორას“ საკუთრებაშია და ამავე დროს 500 მ-ზე მეტი მანძილით არის დაშორებული საცხოვრებელი ზონებიდან.

პირველ ალტერნატიული ვარიანტი-სოფელ გამარჯვებაში მდინარე ლოჭინის მარცხენა სანაპიროს მიმდებარედ მდებარეობს, მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი (საკადასტრო კოდი 81 07 00 045) საერთო ფართობი 35000 მ²;

მეორე ალტერნატიული ვარიანტი-სოფელ გამარჯვებაში მდინარე ლოჭინის მარცხენა სანაპიროს მიმდებარედ მდებარეობს, მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი (საკადასტრო კოდი 81.10.39.636) საერთო ფართობი 9244 მ²;

მესამე ალტერნატიული ვარიანტი-სოფელ გამარჯვებაში მდინარე ლოჭინის მარცხენა სანაპიროს მიმდებარედ მდებარეობს, მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი (საკადასტრო კოდი 81 07.00.043) საერთო ფართობი 26401მ².

ალტერნატიული ტერიტორიების განლაგების სქემა მოცემულია სურათზე 2.1.

ქვემოთ მოცემულია ის კრიტერიუმები, რომლებზეც გამახვილდა ყურადღება ალტერნატიული ვარიანტების განხილვისას:

- ინფრასტრუქტურა
- მიწის საკუთრება
- ატმოსფერულ ჰაერის ხარისხი;
- ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება;
- ნიადაგისა გრუნტის ხარისხი;
- აკუსტიკურ ფონი;
- კულტურულ მემკვიდრეობა;
- კუმულაციური ზემოქმედება და სხვა.

სამივე ალტერნატიული ტერიტორია წარმოადგენს სს „ნიკორას“ საკუთრებას და სამივე ალტერნატივის შემთხვევაში, ტერიტორიის შესყიდვის საჭიროება არ არსებობს, ამასთან სამივე ალტერნატიული ტერიტორია 500 მ-ზე მეტი მანძილით არის დაშორებული საცხოვრებელი ზონებიდან. სამივე ტერიტორია არასახოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთია და ბიომრავალფეროვნების არსებობის თვალსაზრისით, არცერთი ტერიტორია არ არის მნიშვნელოვანი. სამივე ტერიტორია უზრუნველყოფილია მისასვლელი გზით, ელექტროენერჯით, წყალსადენით და ბუნებრივი აირით.

პირველი ალტერნატიული ნაკვეთის საზღვრიდან მდ. ლოჭინამდე მანძილი 150 მ-ზე მეტია, მე-2 ალტერნატიული ნაკვეთის საზღვრიდან მდ. ლოჭინი დაახლოებით 20 მ-ით არის

დაშორებული, ხოლო მე-3 ალტერნატიული ტერიტორიის შემთხვევაში საპროექტო ტერიტორიის საზღვრიდან მდ. ლოქინამდე მანძილი შეადგენს 50, ხოლო ინსინერატორის შენობიდან 60 მეტრს.

მდინარესთან სიახლოვის თვალსაზრისით, პირველი და შესაბამე ალტერნატიული ვარიანტის შემთხვევაში, დაცული იქნება მდინარის სანაპირო ზოლის დაცვის სანიტარული ზონა, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მდინარემდე მანძილები გადაზომილი იქნა ნაკვეთების საზღვრებიდან, მე-2 ალტერნატიული ვარიანტის შემთხვევაშიც არის შესაძლებლობა, ინსინერატორის შენობა განთავსდეს მდინარიდან 50 მ-ის მოშორებით, ამიტომ, ზედპირულ წყლის ობიექტებთან მდებარეობის თვალსაზრისითაც სამივე ალტერნატიული ტერიტორია მისაღებია.

რაც შეეხება, ალტერნატიულ ტერიტორიების სიახლოვეს სხვა, ანალოგიური ტიპის საწარმოების არსებობას, რაც დაგეგმილ საქმიანობასთან ერთად გამოიწვევს გარემოზე კუმულაციურ ზემოქმედებას, უნდა აღინიშნოს, რომ შპს „ჩირინა“-ს ობიექტზე, რომელიც პირველი და მეორე ალტერნატიული ტერიტორიიდან დაშორებული დაახლოებით 150 მ-ით, განთავსებულია ნარჩენების ინსინერაციის საწარმო, ხოლო შესაბამე ალტერნატიული ტერიტორიიდან, შპს „ჩირინა“-ს ობიექტი დაშორებულია 500 მ-ზე მეტი მანძილით, შესაბამისად, კუმულაციური ზემოქმედების თვალსაზრისით, უპირატესობა მე-3 ალტერნატიულ ტერიტორიას უნდა მიენიჭოს.

სამშენებლო სამუშაოების საქიროების თვალსაზრისით, ასევე მე-3 ალტერნატიული ვარიანტის უპირატესობა ელინდება, ვინაიდან ამ ტერიტორიაზე არსებობს დაახლოებით 150 მ² ფართობის კაპიტალური შენობა, რომელიც გამოყენებული იქნება ნარჩენების საწყობად და ინსინერატორის განსათავსებლად არსებობს აღნიშნული შენობის გაფართოების შესაძლებლობა, რაც შეეხება პირველ და მე-2 ალტერნატიულ ტერიტორიას, ორივე ტერიტორიაზე საქიროა შესაბამისი ფართობის შენობა-ნაგებობის მშენებლობა.

ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით, ალტერნატიული ვარიანტები თითქმის იდენტურია. სამივე მიწის ნაკვეთი მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიაზე მდებარეობს, სადაც წლების მანძილზე მიმდინარეობდა სამეურნეო საქმიანობა, არც ერთ ტერიტორიაზე არ არსებობს მცენარეული საფარი და ცხოველთა საბინადროდ ხელსაყრელი ადგილები, არ არის წარმოდგენილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ ბიოლოგიურ გარემოზე მაღალი ზემოქმედება არცერთი ალტერნატიული ვარიანტით განხილულ ტერიტორიაზე მოსალოდნელი არ არის.

საქართველოს ისტორიული-კულტურული მემკვიდრეობის პორტალის ოფიციალური მონაცემებითა და ფიზიკურად ტერიტორიის დათვალიერების დროს ალტერნატიული ვარიანტებისთვის განკუთვნილ ტერიტორიებზე არ მდებარეობს ხილული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

აღსანიშნავია, რომ სამივე მიწის ნაკვეთი საცხოვრებელი ზონებიდან დაცილებულია მნიშვნელოვანი მანძილებით და შესაბამისად საწარმოს მოწყობის შემთხვევაში აკუსტიკურ ფონზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ ინსინერატორის ექსპლუატაციის პროცესი ხმაურის გავრცელების მაღალ დონეებთან დაკავშირებული არ არის.

გამომდინარე იქედან, რომ პირველი და მე-2 ალტერნატიული ვარიანტებისაგან განსხვავებით, რომლებზედაც საქმიანობის განხორციელებისათვის საქირო იქნება ახალი შენობა-ნაგებობის მოწყობა, მე-3 ალტერნატიული ვარიანტის შემთხვევაში მიწის სამშენებლო სამუშაოების მოცულობები მინიმალურია და შესაბამისად ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე ზემოქმედების თვალსაზრისით უპირატესობა უნდა მიენიჭოს ამ ვარიანტს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გარემოზე ზემოქმედების შედარებით დაბალი რისკებიდან გამომდინარე უპირატესობა უნდა მიენიჭოს მე-3 ალტერნატიულ ვარიანტს.

3. ტექნოლოგიური ალტერნატივები

როგორც წინამდებარე ანგარიშშია მოცემული კომპანია „ნიკორა“-ს ქსელში წარმოქმნილი ნარჩენებიდან ძირითად ნაწილს შეადგენს ვადაგასული და გამოყენებისათვის უვარგისი საკვები პროდუქტების ნარჩენები და შესაფუთი მასალა. ვადაგასული და შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი საკვები პროდუქტები მეორად გადამუშავებას ან ცხოველთა საკვებად გამოყენებას არ ექვემდებარება და აუცილებელია ასეთი ნარჩენების განადგურება. აღნიშნულის გათვალისწინებით, განიხილებოდა ნარჩენების გაუნებლობის მიზნით განიხილებოდა რამდენიმე ალტერნატიული ტექნოლოგიის გამოყენება, მათ შორის:

- ვარიანტი პირველი - გაუვნებლობა ნარჩენების საწვავი ლუმელის (ინსინერატორის) გამოყენებით;
- ვარიანტი მე-2 - საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელზე დამარხვა ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ უბანზე;
- ვარიანტი მე-3 - მწარმოებელი კომპანიებისათვის დაბრუნება შემდგომი მართვის მიზნით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კომპანია „ნიკორა“-ს ქსელში წარმოქმნილი საკვები პროდუქტების ნარჩენების მნიშვნელოვანი რაოდენობა წარმოებულა თვით ამ კომპანიის საწარმოებში და ასეთი ნარჩენების სხვაზე გადაცემა ვერ მოხდება. შესაბამისად ნარჩენების მართვა უნდა უზრუნველყოს კომპანია „ნიკორა“-მ და მე-3 ალტერნატიული ვარიანტის მიხედვით ნარჩენების მართვა ვერ განხორციელდება.

მე-2 ალტერნატიული ვარიანტის მიხედვით ნარჩენების განთავსება (დამარხვა) უნდა მოხდეს საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელზე ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ უბანზე, რაც გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული, მათ შორის:

- ნაგავსაყრელების უმრავლესობას არ გააჩნია ასეთი ნარჩენებისათვის სპეციალად გამოყოფილი უბნები და ვერ ხერხდება მათი უსაფრთხო განთავსება;
- ნაგავსაყრელზე გატანამდე საჭიროა ნარჩენების შესაფუთი მასალისაგან განთავისფლება, რისთვისაც კომპანია ნიკორას ქსელში ცალკე გამოყოფილი შესაბამისი ინფრასტრუქტურა არ არსებობს და მათი მოწყობა არც მიზანშეწონილია გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების რისკების არსებობასთან დაკავშირებით;
- ნარჩენების მცირე პარტიების ნაგავსაყრელზე ყოველდღიურად გატანა და დადგენილი წესით განთავსება შესაძლებელი არ იქნება რადგან ამისათვის საჭირო შესაბამისი პროცედურების გავლა და უნდა მოხდეს ნარჩენების გარკვეული რაოდენობის დაგროვება, რისთვისაც საჭირო იქნება შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა, მათ შორის მალეფუჭებადი პროდუქტებისათვის სამაცივრო სათესების მოწყობა.

პირველი ალტერნატიული ვარიანტის შემთხვევაში, კომპანიის ქსელიდან ყოველდღიურად მოხდება ნარჩენების ინსინერატორის საწარმოში გადატანა ამისათვის სპეციალურად გამოყოფილი ავტოტრანსპორტით და გაუვნებლობა მოხდება მცირე პარტიებად ისე, რაც გამორიცხავს ნარჩენების წარმოქმნის ადგილებზე დაგროვების საჭიროებას და ამასთან დაკავშირებულ გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების რისკებს.


როგორც წინამდებარე ანგარიშშია მოცემული, ინსინერაციას დაექვემდებარება ძირითადად ბიოდეგრადირებადი ნარჩენები, რომლის დაწვის შედეგად მიღებული ნარჩენი - ნაცარი შეადგენს მიღებული ნარჩენის დაახლოებით 5%-ს. წარმოქმნილი ნარჩენის ყველა პარტიას (ყველა შეფუთვას) ჩაუტარდება ლაბორატორიული კვლევა და ტოქსიკური ნივთიერებების ზენორმატიული შემცველობის დაფიქსირების შემთხვევაში შემდგომი მართვა მოხდება

სახიფათო ნარჩენებისათვის დადგენილი პროცედურის მიხედვით (შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა ამ საქმიანობაზე შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე კომპანიას). შესაბამისი ლაბორატორიული კვლევის შედეგებს გარეშე, ნაცარი ითვლება სახიფათო ნარჩენად.

წინამდებარე ანგარიშში მოცემული გაანგარიშებების და პროგრამული მოდელირების შედეგების მიხედვით საპროექტო ინჟინერატორის ექსპლუატაციის პროცესი, 500 მ-ანი ნორმირებული ზონის საზღვარზე მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციები ნორმირებულ მნიშვნელობებს არ გადააჭარბებს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, უპირატესობა მიენიჭა პირველ ალტერნატიულ ვარიანტს, ნარჩენების საწყავე ღუმელის მოწყობას და კომპანია „ნიკორა“-ს ნარჩენების გაუვნებლობის მიზნით.

ნახაზი 2.1. საწარმოს აღტყინატყულო კანონებების სტრუქტურული სქემა



შპს „საქონალი“

დანართი N3: გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა ექსპლუატაციის ეტაპზე

კონტროლის საგანი	კონტროლის/სინჯის აღების წერტილი	მეთოდი	სიხშირე/დრო	მიზანი	პასუხისმგებელი
1	2	3	4	5	6
ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე	<ul style="list-style-type: none"> • ინსინერატორის საკვამლე ძალი; • ინსინერატორის წვრილ კამერების მოშლის რეჟიმის მონიტორინგი. 	<p>ინსტრუმენტული კონტროლი შემდეგ პარამეტრებზე:</p> <ul style="list-style-type: none"> • შემოსული ნაწილაკები; • აზოტის დიოქსიდი; <p>მონიტორინგი საინჟინრო მეთოდით შემდეგ პარამეტრებზე:</p> <ul style="list-style-type: none"> • კადამიუმი • სპილენძი • ნიკელი • ვერცხლისწყალი • ტყვი • ქრომი • ქლორწყალბადი • დარიშხანი • ნახშირბადის ოქსიდი • ააონ C6-C10 • აირადი ფტორიდები • ჯამური ზემოქმედების მაუწყებელი 	<p>კვარტალში ერთხელ და სარეგულარულ შემოსვლის შემთხვევაში.</p> <p>გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა დადგენა საინჟინრო მეთოდით კვარტალში ერთხელ</p>	<p>გარემოს უსაფრთხოების მთხოვნებრივ შესაბამისობის უზრუნველყოფა ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შემცირება.</p>	სს „ნიკორა“
			<ul style="list-style-type: none"> • კვარტალური კონტროლი კერიოდულად, სპორადულ შემთხვევაში. 		

კონტროლის საგანი	კონტროლის/სინჯის აღების წერტილი	მეთოდი	სიხშირე/დრო	მიზანი	პასუხისმგებელი
1	2	3	4	5	6
ნარჩურების ტრანსპორტირებ აგრეგატის შესამოწმებად.	სამუშაო მოედანი	ზედამხედველობა/ინსპექტირება	ყოველდღიური კონტროლი	<ul style="list-style-type: none"> გარემოს უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის უზრუნველყოფა. უსაფრთხოების უზრუნველყოფა. 	სს „ნიკორა“
ნავანი	ნავრის შესახები ადგილი	ნავრის ლაბორატორიული შემოწმება ტექნიკური ელემენტების შემოწმების შემთხვევაში; ლაბორატორიული კონტროლის გარეშე ნავანი; ჩაითვლება საბოლოოდ.	ინსპექტირების ტერიტორიიდან გატანამდე, მაგრამ არაუგვიანეს კვარტალში ერთხელ.	<ul style="list-style-type: none"> ნავრის საბოლოო განთავსების პირობების დადგენის მიზნით 	სს „ნიკორა“
შრომის უსაფრთხოება	სამუშაოთა წარმოების ტერიტორია	<p>ინსპექტირება:</p> <ul style="list-style-type: none"> პირიადი დაცვის საშუალებების არსებობა და გამართულობის მართლდული კონტროლი; პროექტური მოთხოვნების შესრულების კონტროლი; 	<ul style="list-style-type: none"> კერძოდული კონტროლი სამუშაოების წარმოების კერიოდში სამუშაოების დასრულების შემდგომ 	<ul style="list-style-type: none"> ჯანდაცვას უსაფრთხოების წარმართან შესაბამისობის უზრუნველყოფა ტრავმატუბის და დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება/მინიმიზაცია 	სს „ნიკორა“

დანართი N4

საწარმოში ინსინერაციის მიზნით შემოტანილი ნარჩენების სახეობები

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ნარჩენების დამუშავებასთან დაკავშირებული საქმიანობის განსახორციელებლად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა წარედგინოს დასამუშავებელი ნარჩენების სახეობა, კერძოდ:

- ნარჩენის კოდი და დასახელება „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების შესაბამისად;
- დასამუშავებელი ნარჩენების რაოდენობა და წარმოშობა;
- ნარჩენების აღდგენის ან განთავსების ოპერაციების კოდები და აღწერილობა ნარჩენების მართვის კოდექსის I და II დანართის შესაბამისად;
- გამოსაყენებელი საშუალებები და მოწყობილობები, აგრეთვე მათი წარმადობა.

საპროექტო ინსინერაციის საწარმოში შემოტანილი სახიფათო და არასახიფათო ნარჩენები „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტო N426 დადგენილების შესაბამისად გაერთიანებულია შემდეგ ჯგუფებში:

- მე-2 ჯგუფი - ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება სასოფლო-სამეურნეო, მებალეობის, აჭკაკულტურის, მეტყვეობის, სამონადირეო და თევზჭერის, საკვები პროდუქტის დამზადებისა და დამუშავებისას;
- მე-8 ჯგუფი - ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ზედაპირის დამგურავი საშუალებების (საღებავები, ლაქები და მოჭიქვისას და ემალირებისას გამოყენებული საშუალებები), წებოვანი ნივთიერებების/შემკრავი მასალების, ლუქის დასადები მასალების და საბეჭდი მელნის წარმოების, მიღების, მიწოდებისა და გამოყენებისას (MFSU);
- მე-15 ჯგუფი - შესაფუთი მასალის, აბსორბენტების, საწმენდი ნაჭრების, ფილტრებისა და დამცავი ტანსაცმლის ნარჩენები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის სხვა პუნქტებში;
- მე-19 ჯგუფი - ნარჩენები, ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოების, ჩამდინარე წყლების გადამამუშავებელი საწარმოებისა და წყლის ინდუსტრიიდან;
- მე-20 ჯგუფი - მუნიციპალური ნარჩენები და მსგავსი კომერციული, საწარმოო და დაწესებულებების ნარჩენები, რაც ასევე მოიცავს მცირედი ოდენობებით შეგროვებული ნარჩენების ერთობლიობას.

საწარმოში შემოტანილი ნარჩენების კოდი და დასახელება „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების მიხედვით, მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1. საწარმოში შემოტანილი ნარჩენების კოდი და დასახელება

ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება სასოფლო-სამეურნეო, მებალეობის, აჭკაკულტურის, მეტყვეობის, სამონადირეო და თევზჭერის, საკვები პროდუქტის დამზადებისა და დამუშავებისას - ჯგუფის კოდი - 02
02 02 - ნარჩენები ხორცის, თევზისა და სხვა ცხოველური წარმოშობის საკვები პროდუქტების მომზადებისა და დამუშავებიდან

02 02 02	ცხოველური ქსოვილების ნარჩენები
02 02 03	დაბუშავენისა და გამოყენებისთვის გამოუსადეგარი მასალები
02 02 04	ჩამდინარე წყლების დაბუშავენის შემდეგ მიღებული ლექი
02 03 - ხილის, ბოსტნეულის, მარცვლოვანი კულტურების, საკვები ცხიმების, კაკაოს, ყავისა და თამბაქოს მოშადებისა და დაბუშავენის ნარჩენები; საკონსერვო წარმოების ნარჩენები; საფუარისა და საფუარის ექსტრაქტის წარმოება, მელასას მოშადება და ფერმენტაცია	
02 03 01	რეცხვის, გასუფთავების, გაილის (კანის მოცილების), ცენტრიფუგირებისა და განცალკევების შედეგად მიღებული ლექი
02 03 04	დაბუშავენისა და მოხმარებისათვის გამოუსადეგარი მასალები
02 03 05	ჩამდინარე წყლების დაბუშავენის შემდეგ მიღებული ლექი
02 05 - რძის პროდუქტების წარმოების ნარჩენები	
02 05 01	დაბუშავენისა და მოხმარებისათვის გამოუსადეგარი მასალები
02 05 02	ჩამდინარე წყლების დაბუშავენის შემდეგ მიღებული ლექი
02 06 - საცხობი და საკონდიტრო წარმოების ნარჩენები	
02 06 01	დაბუშავენისა და მოხმარებისათვის გამოუსადეგარი მასალები
02 06 02	კონსერვირებისათვის საჭირო საშუალებების ნარჩენები
02 06 03	ჩამდინარე წყლების დაბუშავენის შემდეგ მიღებული ლექი
ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ზედაპირის დამფარავი საშუალებების (საღებავები, ლაქები და მოჭიქვისას და ემალირებისას გამოყენებული საშუალებები), წებოვანი ნივთიერებების/შემკვრავი მასალების, ლუქის დასადები მასალების და საბეჭდი მელნის წარმოების, მიღების, მიწოდებისა და გამოყენებისას (MFSU) - ჯგუფის კოდი - 08	
08 03 საბეჭდი მელნის წარმოების, მიღების, მიწოდებისა და გამოყენების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები	
08 03 17*	პრინტერის ტონერი/მელანის ნარჩენები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს (ეროჯერადი)
შესაფუთი მასალის, აბსორბენტების, საწმენდი ნაჭრების, ფილტრებისა და დამცავი ტანსაცმლის ნარჩენები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის სხვა პუნქტებში - ჯგუფის კოდი - 15	
15 01 შესაფუთი მასალა (ცალკეულად შეგროვებული შესაფუთი მასალის ნარჩენების ჩათვლით)	
15 01 02	პლასტმასის შესაფუთი მასალა (ბოთლები, საკვების კონტეინერები)
15 01 04	ლითონის შესაფუთი მასალა (ალუმინის ქილები)
15 01 10*	შესაფუთი მასალა, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებების ნარჩენებს ან/და დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით

15 02 აბსორბენტები, ფილტრის მასალა, საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმისი	
15 02 02*	აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმისი, რომელიც დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით
ნარჩენები, ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოების, ჩამდინარე წყლების გადამამუშავებელი საწარმოებისა და წყლის ინდუსტრიიდან - ჯგუფის კოდი - 19	
19 01 ნარჩენების ინსინერაციის/დაწვის და პიროლიზის ნარჩენები	
19 01 06*	წყალშემცველი ობიექტები ნარჩენები პირების გადამამუშავებიდან და სხვა წყალშემცველი ობიექტები ნარჩენები (ინსინერაციის ოთახის დასუფთავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები წყალი)
მუნიციპალური ნარჩენები და მსგავსი კომერციული, საწარმოო და დაწესებულებების ნარჩენები, რაც ასევე მოიცავს მცირედი ოდენობებით შეგროვებული ნარჩენების ერთობლიობას - ჯგუფის კოდი - 20	
20 01 განცალკევებულად შეგროვებული ნაწილები (გარდა 15 01)	
20 01 27*	საღებავები, მელნები, წებოვანი და რეზინის, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს
20 01 29*	სარეცხი/საწმენდი საშუალებები, რომლებიც შეიცავენ სახიფათო ნივთიერებებს
20 01 30	სარეცხი/საწმენდი საშუალებები, გარდა 20 01 29 პუნქტით გათვალისწინებული
20 01 99	ნარჩენები, რომლებიც არ არის განსაზღვრული აღნიშნულ კატეგორიაში (ვადიგასული და წუნდებული საკვები პროდუქტი; საკვები პროდუქტის ნარჩენები; ალკოჰოლური და არა ალკოჰოლური სასმელები და სხვ. არასახიფათო ნივთიერებების შემცველი ნარჩენები)

ინსინერატორში ნარჩენების გაუვნებლებას, ნარჩენების მართვის კოდექსის დანართების შესაბამისად, შეესაბამება განთავსების ოპერაციის კოდი D10.

როგორც პროექტის აღწერით ნაწილშია მოცემული, საწარმოში გათვალისწინებულია კომპანია „იუტელის“ IZHTEL-1000 მოდელის ინსინერატორის განთავსება, რომლის მაქსიმალური წარმადობა შეადგენს 250 კგ/სთ-ს.

ინსინერაციის საწარმოში დასამუშავებელი ნარჩენების რაოდენობა, დამოკიდებულია კომპანია „ნიკორას“ ქსელში წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობაზე, რომელიც, გასული წლების მონაცემებით შეადგენს დაახლოებით 550-600 ტ/წელ, თუმცა, მომავალში შესაძლებელია, როგორც ქსელის გაფართოება (ახალი შვილობილი კომპანიების დაფუძნება, სადაც ადგილი ექნება ანალოგიური ნარჩენების წარმოქმნას), ისე არსებული კომპანიების მალაზიების რაოდენობის მატება, ამიტომ ინსინერაციის საწარმოში, დასამუშავებას დაქვემდებარებული ნარჩენების რაოდენობა გაანგარიშებული იქნა ინსინერატორის მაქსიმალური წარმადობის მიხედვით.

იქიდან გამომდინარე, რომ საწარმოში დაგეგმილი ინსინერატორის წარმადობა შეადგენს 250 კგ/სთ-ს, ინსინერაციის უბნის უწყვეტ რეჟიმში ტუმბობის პირობებში, ინსინერატორის ჩატვირთვის და გაგრილებისთვის საჭირო დროის გათვალისწინებით, დღე-ღამეში შესაძლებელი იქნება: 250 კგ/სთ x 16 სთ/დღ. - 4000 კგ/დღ. ნარჩენის ინსინერაცია, წლის განმავლობაში დასამუშავებელი ნარჩენების მაქსიმალური რაოდენობა იქნება:

$$4000 \text{ კგ/დღ.} \times 365 \text{ დღე/დ.წელ} = 1\,460\,000 \text{ კგ/წელ} = 1\,460 \text{ ტ/წელ}$$

აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ინსინერაციის საწარმოს წარმადობა გაანგარიშებულია დანადგარის მაქსიმალური შესაძლებლობის გათვალისწინებით და რეალურად, კომპანიაში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს გაცილებით ნაკლები რაოდენობის ნარჩენის წარმოქმნას.

საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობები და მათი მართვა

ინსინერატორის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, მათ შორის აღსანიშნავია: ინსინერაციის შედეგად წარმოქმნილი ნაცარი, სახიფათო ნივთურებებით დაბინძურებული საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმისი, ფლურესცენციული მილები, ინსინერაციის ოთახის დასუფთავების შედეგად წარმოქმნილი ნარეცხი წყალი და შერეული მუნიციპალური ნარჩენები.

შერეული მუნიციპალური ნარჩენები (20 03 01),

იმის გათვალისწინებით, რომ ინსინერატორის უბანზე დასაქმებულთა მაქსიმალური რაოდენობა არის 3 ადამიანი, წლის განმავლობაში, მათ მიერ წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მაქსიმალური რაოდენობა იქნება:

$$3 \times 0.5 \text{ კგ} \times 365 \text{ დღ/წ} = 547.5 \text{ კგ/წ}$$

შეგროვდება მათთვის განკუთვნილ კონტეინერში და დაგროვების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, გატანილი იქნება არასახიფათო მყარი მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელზე.

ფლურესცენციული მილები და სხვა ვერცხლის წყლის შემცველი ნარჩენები (20 01 21)*,

ფლურესცენციული მილების ექსპლუატაციის ვადა აღმატება ერთ წელს. მოხუცდავად ამისა, თუ ვივარაუდებთ, რომ დაგეგმილ ინსინერაციის საწარმოში არსებული ნათურები ყოველწლიურად გამოვა მწყობრიდან და დაექვემდებარება შეცვლას, საწარმოში წარმოქმნილი ნათურების რაოდენობა წლის განმავლობაში არ გადააჭარბებს 2-3 კგ-ს. ნათურების ნარჩენები განთავსდება მათთვის განკუთვნილ კონტეინერში და შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას.

სახიფათო ნივთურებებით დაბინძურებული საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმისი (15 02 02)*

შეგროვდება თავდახურულ ლითონის/პლასტმასის კონტეინერში მათი გაუვნებლდება მოხდება ამავე საწარმოში განთავსებულ ინსინერატორში.

წყალშემცველი თხევადი ნარჩენები აირების გადამუშავებიდან და სხვა წყალშემცველი თხევადი ნარჩენები (19 01 06)*

ინსინერატორის შენობის ფსკერაი მობეტონებული იქნება და უშუალოდ ინსინერატორის განთავსების ოთახის დასუფთავების ეტაპზე წარმოქმნილი წყლები შეიკრიბება ამავე უბანზე შესაბამისი მოცულობის თავდახურულ ჭურჭელში და გაუვნებლდება საწარმოს ინსინერატორში, როგორც თხევადი ნარჩენი.

ინსინერაციის/დაწვის შედეგად მიღებული ნაცარი

ინსინერატორის ფუნქციონირების შედეგად წარმოიქმნება ნაცარი, რომელიც შესაძლებელია იყოს როგორც არასახიფათო ასევე სახიფათო. ნარჩენების ინსინერაციის შედეგად წარმოქმნილი ნაცარს, „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების შესაბამისად, შესაძლებელია მიფუსადაგოთ კოდები:

- 10 01 14* - ინსინერაციის/დაწვის შედეგად მიღებული მძიმე ნაცარი და წიდა, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს;
- 10 01 15 - ინსინერაციის/დაწვის შედეგად მიღებული მძიმე ნაცარი და წიდა, რომელიც არ შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს (არ ვხვდებით 10 01 14* პუნქტში);

როგორც ცნობილია, ინსინერაციის ეტაპზე წარმოქმნილი ფერფლის სახიფათობას განსაზღვრავს ფერფლში მძიმე და ტოქსიკური მეთალების არსებობა, იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოში გაუვნებლებას დაქვემდებარებული ნარჩენების ძირითადი ნაწილი (დაახლოებით 95 %-ზე მეტი) ვადაგასული და წუნდებული კვების პროდუქტებია, შეუძლებელია აღნიშნული პროდუქტები შეიცავდნენ მძიმე და ტოქსიკურ მეთალებს და შესაბამისად, მათი ინსინერაციის შედეგად მიღებული ფერფლი, შეუძლებელია შეიცავდეს ტოქსიკურ ელემენტებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკვები პროდუქტების ინსინერაციის შედეგად მიღებული ფერფლი იქნება არასახიფათო ნარჩენი, რომელსაც შეესაბამება ნარჩენის კოდი - 10 01 15, ხოლო სახიფათო ნარჩენების და ასევე სხვა საწმენდი და სარეცხი საშუალებების ინსინერაციის შედეგად მიღებული ფერფლი შესაძლებელია შეიცავდეს სახიფათო კომპონენტებს და ამ შემთხვევაში, ფერფლის ამ ნაწილს შეესაბამება ნარჩენის კოდი - 10 01 14*.

საწარმოში, ცალ-ცალკე მოხდება კვების პროდუქტების და სხვა ნარჩენების ინსინერაცია და ცალ-ცალკე შეგროვდება ინსინერაციის შედეგად მიღებული ფერფლი. საკვები პროდუქტების ინსინერაციის შემდეგ მიღებული ფერფლი დაკლასიფიცირდება როგორც არასახიფათო ნარჩენი, ხოლო დანარჩენი ნარჩენების ინსინერაციის შედეგად მიღებული ფერფლი, მისი შემადგენლობის დადგენამდე განხილული იქნება როგორც სახიფათო ნარჩენი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინსინერაციის საწარმოში დასამუშავებელი ნარჩენების რაოდენობა, დამოკიდებულია კომპანია „ნიკორას“ ქსელში წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობაზე და კომპანიის გაფართოების პერსპექტივის გათვალისწინებით, მოსალოდნელი ნარჩენების წინდაწინ განსაზღვრა შეუძლებელია. ამიტომ, ინსინერაციის საწარმოში, დამუშავებას დაქვემდებარებული ნარჩენების რაოდენობა გაანგარიშებული იქნა ინსინერატორის მაქსიმალური წარმადობის მიხედვით.

ინსინერაციის შედეგად მიღებული ფერფლის რაოდენობა, დამოკიდებულია ინსინერაციას დაქვემდებარებული ნარჩენების რაოდენობასა და სახეობაზე. მოცემულ შემთხვევაში, დანადგარის საპასპორტო მონაცემების მიხედვით, ინსინერაციის უბანზე, ნაცრის სახით მოსალოდნელი იქნება ინსინერებული ნარჩენების დაახლოებით 5 %-ის წარმოქმნა. შესაბამისად საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ნაცრის მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება იყოს $1\ 460 \times 0.05 = 73$ ტ/წელ, საიდანაც დაახლოებითა 95 % (დაახლოებით 69.35 ტ/წელ) იქნება კვების პროდუქტების ინსინერაციის შედეგად მიღებული არასახიფათო ნაცარი, ხოლო 5% (3.65 ტ/წელ) სახიფათო ნარჩენი.

აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ინსინერაციის საწარმოს წარმადობა გაანგარიშებულია დანადგარის მაქსიმალური შესაძლებლობის გათვალისწინებით და რეალურად, კომპანიაში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს გაცილებით ნაკლები რაოდენობის ნარჩენის წარმოქმნას და შესაბამისად, ფერფლის სახით წარმოქმნილი ნარჩენიც გაცილებით ნაკლები იქნება.

ღუძელიდან ამოღებული გაციებული ფერფლი ჯერ განთავსდება პოლიეთილენის ტომრებში, ხოლო შემდეგ, 100 ან/და 200 ლიტრი მოცულობის ჰერმეტიკულ კონტეინერებში, რომლებიც დროებით განთავსდება არსებული შენობის საწყობში, მათთვის განკუთვნილ ადგილზე. ფერფლის (ნაცრის) ტერიტორიიდან გატანა მოხდება დაგროვების შესაბამისად, მაგრამ არაუგვიანეს ერთი წლისა.

პროექტის მიხედვით, საწარმოში, ცალ-ცალკე მოხდება კვების პროდუქტების და სხვა ნარჩენების ინსინერაცია და ცალ-ცალკე შეგროვდება ინსინერაციის შედეგად მიღებული ფერფლი. საკვები პროდუქტების ინსინერაციის შემდეგ მიღებული ფერფლი დაკლასიფიცირდება როგორც არასახიფათო ნარჩენი, ხოლო დანარჩენი ნარჩენების ინსინერაციის შედეგად მიღებული ფერფლი, მისი შემადგენლობის დადგენამდე განხილული იქნება როგორც სახიფათო ნარჩენი. შესაბამისად კვების პროდუქტების ინსინერაციის პროცესში წარმოქმნილი ნაცარი და სხვა ნარჩენების ნაცარი დასაწყობდება ცალცალკე.

წარმოქმნილი ნაცრის შემდგომი მართვის პირობების განსაზღვრის მიზნით სახიფათო ნარჩენად წინასწარ მიჩნეულ ნაცრის ყველა პარტიის მართვა მოხდება შესაბამისი დასკვნის მიხედვით, თუ ნარჩენი ჩაითვლება სახიფათო ნარჩენად შემდგომი მართვისათვის გადაეცემა ამ საქმიანობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების ან რეგისტრაციის მქონე კომპანიას, ხოლო არასახიფათოობის დადგენის შემთხვევაში საკვები პროდუქტების ინსინერაციის პროცესში წარმოქმნილ ნაცართან ერთად განთავსდება მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელზე.

ინსინერატორის მუშაობის რეჟიმი და დასაქმებული ადამიანების რაოდენობა

ინსინერატორის სამუშაო რეჟიმი, წლის განმავლობაში განსაზღვრულია 365 სამუშაო დღით და დღეში 16 საათიანი სამუშაო გრაფიკით. დასაქმებულთა რაოდენობა იქნება 3 ადამიანი.

დანართი N5: საზოგადოების ინფორმირება და საზოგადოებრივი აზრის შესწავლა

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მოთხოვნების მიხედვით დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის და გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვებს უზრუნველყოფს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო განხილვა გაიმართა 2021 წლის 27 აპრილს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვების ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შპს „ნიკორას“, საკონსულტაციო კომპანია შპს „გამა კონსალტინგის“ წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, და მინისტრის 2021 წლის 4 ოქტომბრის N2-1492 ბრძანებით N49 სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი იხილეთ ქვეით ცხრილში 10.1

წინამდებარე გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-11 და მე-12 მუხლების შესაბამისად, კერძოდ:

- გზშ-ს ანგარიშის განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში სამინისტრო უზრუნველყოფს ამ განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – მათი ნაბეჭდი ეგზემპლარების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომობას;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში, გზშ-ის ანგარიშის განხილვის მიზნით მინისტრი ქმნის ამ კოდექსის 42-ე მუხლით გათვალისწინებულ საექსპერტო კომისიას. საექსპერტო კომისია აშუადებს და შექმნიდან 40 დღის ვადაში სამინისტროს წარუდგენს ექსპერტიზის დასკვნას გზშ-ის ანგარიშის შესახებ;

- საზოგადოებას უფლება აქვს, განცხადების ამ კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით განთავსებიდან 40 დღის ვადაში, ამ კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით სამინისტროს წარუდგინოს მოსაზრებები და შენიშვნები გზშ-ის ანგარიშთან, დაგეგმილ საქმიანობასთან და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გასათვალისწინებელ პირობებთან დაკავშირებით. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისას ან საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემისას უზრუნველყოფს წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების განხილვას და, შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მხედველობაში იღებს მათ;
- კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით განცხადების განთავსებიდან არაუადრეს 25-ე დღისა და არაუგვიანეს 30-ე დღისა სამინისტრო ატარებს გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვას. საჯარო განხილვის ორგანიზებისა და ჩატარებისთვის პასუხისმგებელია სამინისტრო. საჯარო განხილვას უძღვება და საჯარო განხილვის შესახებ ოქმს ადგენს სამინისტროს წარმომადგენელი. ამ ოქმის სისწორისთვის პასუხისმგებელია სამინისტრო. საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვის ჩატარებამდე არაუგვიანეს 20 დღისა, ამ კოდექსის 32-ე მუხლის შესაბამისად. საჯარო განხილვა ტარდება დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს შენობა-ნაგებობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე, თუ დაგეგმილია საქმიანობის თვითმმართველი თემის ადმინისტრაციულ საზღვრებში განხორციელება, საჯარო განხილვა ტარდება დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს შენობა-ნაგებობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხოლო თუ დაგეგმილია საქმიანობის თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში განხორციელება, საჯარო განხილვა ტარდება სამინისტროს მიერ განსაზღვრული სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს შენობა-ნაგებობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე. საჯარო განხილვა ღია და მასში მონაწილეობის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

დანართი N6: მოსახლეობა

საქართველოს, ქვემო ქართლისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რაოდენობის განაწილების შესახებ ბოლო 10 წლის განმავლობაში დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ცხრილში 1.

ცხრილი 1. მოსახლეობის რაოდენობა

	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
საქართველო	3,718	3,716	3,721	3,728	3,726	3,729	3,723	3,716	3,728	3,688
	.4	.9	.9	.6	.4	.6	.5	.9	.6	.6
ქვემო ქართლი	421.0	422.5	425.2	428.0	429.7	432.3	433.2	434.2	437.3	434.5
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	81.3	81.6	81.6	81.6	81.3	81.3	80.8	80.4	80.3	79.3

წყარო www.geostat.ge

ქვემო ქართლის მხარეში მოსახლეობის 51,3% ეთნიკურად ქართველ მოსახლეს წარმოადგენს 47,53% აზერბაიჯანელს, მოსახლეობის 5,1% ეთნიკურად სომეხია, 0,6% რუსი 0,5%, ბერძენი 0,2 % კი ოსი. გარდაბნის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსახლეობის 54 % ეთნიკურად ქართველია, 0,51 % რუსი, 0,74% სომეხი, 0,34% კი ასირიელია.